საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №543

თბილისი „14“ 06 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,მ“ ქვეპუნქტების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის N78/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 13 ივნისის N648424 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯის ,,ლაკადა'' სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 19 ივნისიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა